

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი**

<b>ფაკულტეტი</b>	<b>მედიცინის</b>
<b>საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება</b>	<b>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა</b>
<b>მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი</b>	<b>დიპლომირებული მედიკოსი</b>
<b>პროგრამის ხელმძღვანელი</b>	<b>პროფესორი რუსუდან რუხაძე</b>
<b>პროგრამის მოცულობა</b>	<b>360 ECTS კრედიტი</b>
<b>სწავლების ენა</b>	<b>ქართული</b>
<b>პროგრამის მიზნები</b>	<p>დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის (დმსკ) მიზანია, ქვეყნის/საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მოთხოვნილებათა შესაბამისად, მოამზადოს კონკურენტუნარიანი და სათანადო კომპეტენციის მქონე კვალიფიციური ექიმები (მედიკოსები), რომლებიც მზად არიან დიპლომისშემდგომი განათლებისა და უწყვეტი პროფესიული დახელოვნებისთვის.</p>
<b>პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები</b>	<p>დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის სერთიფიკატს; ასევე პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით.</p> <p>პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება განისაზღვრება</p> <p>„უმაღლესი განათლების შესახებ კანონით“ (მ. 52. პ. 3), კერძოდ, აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:</p> <p>ა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;</p> <p>ბ) საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში;</p> <p>გ) პირებისათვის, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლების</p>

	<p>ერთი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის აქტით დამტკიცებული სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.</p>
<p><b>სწავლების მეთოდები</b></p>	<p>დიპლომირებული მედიკოსი საბაზისო, პრეკლინიკურ და ადრეულ კლინიკურ ეტაპებზე გამოიყენება სწავლების და სწავლის შემდეგი მეთოდები:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინტერაქტიური ლექციები (მათ შორის ე.წ. შებრუნებული - Flipped Classroom ტიპის ლექციები, სემინარები)</li> <li>• პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)</li> <li>• შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნება (CBL, CBCR),</li> <li>• დისკუსიები, როლური თამაშები და პროექტები, პრეზენტაციები,</li> <li>• სიმულატორების, სტანდარტიზებული პაციენტის და მულაჟების გამოყენება,</li> <li>• ტუტორიალები, სემინარები, ლაბორატორიული სწავლება,</li> <li>• სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობა,</li> <li>• სამუშაო პრაქტიკა.</li> </ul> <p>სწავლების ზემოხსენებული მეთოდებიდან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) და შემთხვევაზე დაფუძნებული კლინიკური აზროვნების (CBCR) სესიები ტარდება როგორც მაინტეგრირებელი სასწავლო კურსები, რაც განამტკიცებს განსახილველი სცენარის შესაბამისი საბაზისო ან/და კლინიკური დისციპლინების ცოდნას.</p> <p>მეექვსე, დამათავრებელ კურსზე, ზემოხსენებულ მეთოდებთან ერთად, ძირითადად გამოიყენება კლინიკურ გარემოში სწავლების მეთოდები - ავადმყოფის საწოლთან სწავლება (Bedside Teaching), პილოტირების რეჟიმში გამოიცდება (მოდულში "შინაგან დაავადებათა დიაგნოსტიკა და მკურნალობა") სანდო პროფესიული აქტივობების (EPA -Entrusted Professional Activities) მეშვეობით სწავლება. სტუდენტები ეუფლებიან შემდეგ სანდო პროფესიულ აქტივობებს:</p> <p>EPA1 - პაციენტის ანამნეზის შეკრება და ფიზიკური გამოკვლევა  EPA2 - დიფერენციულ დიაგნოზის დროს პრიორიტეტის განსაზღვრა  EPA3 - დანიშნულების მიცემა და მათი განხილვა/დასაბუთება  EPA4 - ინფორმირებული თანხმობის მიცემა</p> <p>პროგრამის სხვადასხვა საფეხურზე სტუდენტის კლინიკური უნარების გამომუშავება ხდება კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრში (ან შესაბამისი სიმულატორებით აღჭურვილ დეპარტამენტებში). სტუდენტის კლინიკური უნარები ფასდება ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდით</p>

	<p>(OSCE–Objective Structured Clinical Examination), ან კლინიკური გამოცდის სხვა ფორმით.</p> <p>დმსპ-ზე სწავლების აუცილებელი პირობაა თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია, კლინიკური და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება კლინიკური უნარების (ვირტუალური სიმულაციის) ცენტრში და კლინიკურ გარემოში. სწავლებისას უპირატესობა ენიჭება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.</p> <p>კლინიკური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას მეტად დიდი მნიშვნელობა ენიჭება უმაღლეს სამედიცინო განათლებაში. ამ თვალსაზრისით გამოყენებულია სხვადასხვა სირთულის სიმულატორები და კომპიუტერიზებული სასწავლო პროგრამები, რომლებიც მაქსიმალურად ასახავენ რეალურ დაავადებას, სადიაგნოსტიკო ან სამკურნალო პროცედურას.</p> <p>ვირტუალური სასწავლო მეთოდების გამოყენება ჰარმონიზებულია სამედიცინო მომსახურების ეთიკურ და ბიოეთიკურ ასპექტებთან, პაციენტის უფლებებთან და უსაფრთხოებასთან, პერსონალური ინფორმაციის დაცვასთან და სხვ., ასევე, ხელს უწყობს სამკურნალო დაწესებულებების განტვირთვას სტუდენტთა დიდი ჯგუფებისგან.</p>
<p><b>სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა</b></p>	<p>პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ეტაპობრივად, ყოველი სასწავლო კურსის/მოდულის დასრულებისთანავე. უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე, სტუდენტთა მობილობას.</p> <p>კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას (ერთი კრედიტი=30 სთ), რაც საჭიროა კონკრეტული სასწავლო კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტები განაწილებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტს შორის.</p> <p>ერთი აკადემიური წელი საშუალოდ მოიცავს 60 კრედიტს; დაუშვებელია სტუდენტის წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 კრედიტს.</p> <p>სტუდენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ (0-60 ქულა), საგამოცდო შეფასებას (0-40 ქულა) და საბოლოო შეფასებებს(0-100 ქულა). კრედიტის მისაღებად საბოლოო შეფასება არ უნდა იყოს 51 ქულაზე ნაკლები. გამოცდაზე სტუდენტი ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი გამოცდაზე დააგროვებს მინიმუმ 24 ქულას (მაქსიმალური შეფასების 60%-ს მაინც).</p> <p>დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური</p>

	<p>დადებითი შეფასების ჯამით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა (ანუ, შუალედური შეფასების სახით მინიმუმ 27 ქულის დაგროვების შემთხვევაში).</p> <p>სტუდენტის შეფასების სისტემა მოიცავს ხუთი სახის დადებით (A, B, C, D, E) და ორი სახის (FX და F) უარყოფით შეფასებას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• A) ფრიადი - 91-100 ქულა,</li> <li>• B) ძალიანკარგი - 81-90 ქულა,</li> <li>• C) კარგი - 71-80 ქულა,</li> <li>• D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა,</li> <li>• E) საკმარისი - 51-60 ქულა,</li> <li>• FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა, სტუდენტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება</li> <li>• F) ჩაიჭრა - 40 ქულა და ნაკლები; სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</li> </ul> <p>უარყოფითი შეფასების მიღებისას, სტუდენტს უფლება აქვს განმეორებით გამოცდაზე გავიდეს დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 5 დღეში.</p> <p>ცალკეულ სასწავლო კურსში/მოდულში სტუდენტის მიღწევების შეფასებისათვის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები დეტალურადაა აღწერილი შესაბამის სილაბუსში და ცნობილია სტუდენტებისათვის.</p>
<p style="text-align: center;"><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p>დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებული ფლობს ქვემოთ ჩამოთვლილ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს (აქვს/იცის/შეუძლია):</p> <p><b>დარგობრივი ცოდნა:</b></p> <p>1. 1 დარგობრივი კომპეტენციები</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ბიოსამედიცინო მეცნიერებების ცოდნა,</li> <li>• ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა,</li> <li>• კლინიკური მეცნიერებების ცოდნა,</li> <li>• ცოდნა წამლების და მათი დანიშვნის პრინციპების შესახებ,</li> <li>• საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ამ სისტემაში ექიმის როლის გაცნობიერებული ცოდნა,</li> <li>• ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების ცოდნა.</li> </ul> <p><b>დარგობრივი უნარები:</b></p> <p>კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს:</p> <p>1. პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევის მიზნით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება,</li> <li>• კლინიკური აზროვნება და პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილების მიღება,</li> <li>• განმარტებებისა და რჩევების მიცემა,</li> <li>• პაციენტის გამხნეება და მისი უფლებების დაცვა,</li> <li>• პაციენტის ფსიქოლოგიური სტატუსის შეფასება.</li> </ul> <p>2. კლინიკური შემთხვევის შეფასება, საჭირო კვლევების</p>

დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოსტიკის ჩატარება, დაავადების მართვის გეგმის შესახებ მსჯელობა:

3. გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების დროს დახმარების გაწევა (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ღონისძიებები):
4. მედიკამენტების შერჩევა, დანიშვნა და გამოწერა,
5. პრაქტიკული პროცედურების ჩატარება,
6. სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია,
7. სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება,
8. პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება,
10. სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება,
11. სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება,
12. ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა,
13. პროფესიონალიზმი.

ამდენად, დიპლომირებულ მედიკოსს შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო ღონეზე წარმართვისა და მზარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით. მას უნარი შესწევს, სათანადოდ და ზუსტად შეაფასოს პროფესიული დახმარების საჭიროება და უზრუნველყოს პაციენტის უსაფრთხოება.

## 1.2. ზოგადი კომპეტენციები

**ცოდნა და გაცნობიერება** - აქვს სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი, იდეების შემუშავების საშუალებას, აცნობიერებს ცალკეული პრობლემის გადაჭრის გზებს; შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნის და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი; აქვს კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, მათ შორის კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. აქვს ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკული მიდგომა, შეუძლია სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების და/ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა.

	<p><b>უნარები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• დასკვნის უნარი - რთული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის - უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით; დიპლომირებულ მედიკოსს შეუძლია სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია, მისი გადაჭრის სარწმუნო, უსაფრთხო გზების ოპერატიული მოძიება და, სათანადო დასკვნის გამოტანის შემდგომ, შესაბამისი ქმედება.</li> <li>• კომუნიკაციის უნარი - თავისი დასკვნების, არგუმენტაციისა და კვლევის მეთოდების კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით; აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვების დასმის, აგრეთვე, არავერბალური კომუნიკაციის უნარი; შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა და თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა. შეუძლია პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა და კონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა.</li> <li>• სწავლის უნარი - სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად მაღალ დონეზე დაგეგმვა; შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკული შეფასება; პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი.</li> </ul> <p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b> - კომპლექსურ, არაპროგნოზირებად სასწავლო ან/და სამუშაო გარემოში განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის წარმართვა და მასზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი საქმიანობის ეთიკის პრინციპების დაცვით განხორციელება; საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა; საკუთარი შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა და დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით განხორციელება.</p>
<p><b>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</b></p>	<p>დიპლომირებული მედიკოსის დასაქმების სფეროებია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- საექიმო საქმიანობა უმცროს ექიმად. უმცროსი ექიმი ასრულებს ექიმის ფუნქციას დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მქონე სუბიექტის მითითებითა და პასუხისმგებლობით.</li> <li>- პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობა.</li> </ul>